



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 3 22 0000843973



26/07/2022

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების N1 დანართის მე - 19 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და კვალიფიკაციის დასახელებად განისაზღვროს - გეოგრაფიის მაგისტრი;
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 26 ივლისის N843079 სხდომის ოქმის N02 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

